ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პატარა საქრისტიანო მოძღვარება ქართული ანბანი თურთ.

საქართველოს რომის კათოლიკე
გლახაკთ ყრმათათვის
მუქთად დასარიგებლად.



კოსტანდინეპოლს,
ანთუან გვიზალიანის სტამბაში.
1876.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პატარა საქრისტიანო მოძღვრება

ქართული ანბანი

თურთ

საქართველოს რომის კათოლიკე

გლახაკთ ყრმათათვის

მუქთად დასარიგებლად



კოსტანდინეპოლს

ანთუან გვიზალიანის სტამბაში

1876

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უმანკოდ შთასახებულო ქალწულო
მარიამ, იმეოხე ჩვენ შენდამი შემოხი-
ზნულთა-თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანბანი.

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ
მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ჳ ფ
ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ
ჰ ჵ ჶ ჸ

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ
მ ნ ჲ ო პ ჟ რ ს ტ უ ჳ ფ
ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ
ჰ ჵ

ა მ ლ ბ ნ ყ გ ჲ შ დ ო ჩ
ე პ ც თ ვ ჟ ძ ჵ ზ რ წ ჶ
ჱ ს ჭ ჸ ი ტ ხ კ უ ჴ ღ ჳ
ქ ფ ჯ ჰ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჷ ჶ ჵ ჰ ჯ ჴ ხ ჭ წ ძ ც
ჩ შ ყ ღ ქ ფ ჳ უ ტ ს რ
ჟ პ ო ჲ ნ მ ლ კ ი თ ჱ
ზ ვ ე დ გ ბ ა

1 2 3 4 5 6 7 8 9 0
10 50 100 1000

---

ლექსნი ერთ მარცვლოანნი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვინ | ეგ | კლდე | სვლა | ხარ |
| მე | რა | ხე | სმა | არს |
| შენ | ცა | ტყე | აწ | ძმა |
| ის | მზე | გზა | თვით | ძე |
| ეს | მთა | ხმა | ვარ | მნე |

ლექსნი ორ მარცვლოანნი

| | | |
|---|---|---|
| ქრის - ტე | ლვაწ - ლი | მტკუა[illegible] |
| ღმერ - თი | ცოდ - ვა | სამ - ცხე |
| წმი - და | ქართ - ლი | გო - რი |
| ჯვა - რი | მცხე - თა | ფო - თი |

ლექსნი სამ მარცვლოანნი.

| | | |
|---|---|---|
| გამ - ჩე - ნი | ევ - რო - პა | ბუ - რი - ა |
| უ - ფა - ლი | რუ - სე - თი | რი - ო - ნი |
| სი - მარ - თლე | მოს - კო - ვი | ა - რა - გვი |
| ქუჱ - ყა - ნა | თბი - ლი - სი | ბა - თუ - მი |
| ა - ზი - ა | კა - ხე - თი | სო - ხუ - მი |

ლექსნი ოთხ მარცვლოანნი

| | |
|---|---|
| მა - ცხო - ვა - რი | კავ - კა - ზი - ა |
| ღვთის - მშო - ბე - ლი | ი - ვე - რი - ა |
| მა - რი - ა - მი | სა - ქარ - თვე - ლო |

| | |
|---|---|
| ქრის - ტი - ა - ნე | ი - მე - რე - თი |
| სათ - ნო - ე - ბა | აფ - ხა - ზე - თი |
| პეტ - რე - ბურ - გი | ქუ - თა - ი - სი |
| საფ - რან - გე - თი | ა - ხალ - ცი - ხე |

## ლექსნი ხუთ მარცვლოანნი

| | |
|---|---|
| დამ-ბა-დე-ბე-ლი | სას-წავ-ლე-ბე-ლი |
| საღმ-რთო-წე-რი-ლი | ეგ-ზა-მე-ნი-ა |
| სარ-წმუ-ნო-ე-ბა | მეც-ნი-ე-რე-ბა |
| ღუთის-მსა-ხუ-რე-ბა | მო-ქა-ლა-ქო-ბა |
| სა-სუ-ფე-ვე-ლი | კაც-მო-ყუა-რე-ბა |
| ფი-ლო-სო-ფო-ზი | |

## ლექსნი ექვს მარცვლოანნი.

და - უს - რუ - ლე - ბე - ლი

ყოვ - ლის - მპყრო - ბე - ლო - ბა

წინ - ას - წარ - მეტ - ყუე - ლი
ღუთის - მო - ყუა - რუ - ლე - ბა
სა - უ - კუ - ნო - ე - ბა
წინ - და - ხე - დუ - ლე - ბა
კოს - ტან - დი - ნე - პო - ლი

დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა:
ღმერთი არს მართლ - მსაჯული.
კაცი არს ცხოველი გონიერი.
ბოროტნი არაოდეს იქმნებიან ბედნიერნი
რუსეთი არს ფრიად ვრცელი.
ბეჯითნი მოწაფენი საყვარელ არიან.
ყრმანო იყავით ბეჯითნი.
აღსარება თვისთა შეცოდებათა არს დასა-
ბამი მოქცევისა.
ჰიყოთ მოწყალე ღარიბთადმი.

უფალო ღმერთო იესო ქრისტეო შემეწიე მე მონასა შენსა რათა ვისწავლო კარგად კითხვა, წერა და კათეხიზი საქებლად და სადიდებლად წმიდისა სახელისა შენისა ამინ.

---

სოკრატე ფილოსოფოზმან რა იხილა კითხვა წერის უმცოდინარე მდიდარი ერთი, სთქვა: «აჰა ოქროთ მოსილი პირუტყვიო.»

ერთხელაც ჰკითხეს მას: რომელი ცხოველი უმფრო მშვენიერი არისო? მიუგო გაწურთვნილი კაციო.

სწავლის მოყვარე ავრელიო იმპერატორი მოხუცებულობის ჟამსაც მარადის მივიდოდა ხოლმე სისტოს ფილოსოფოზთან სწავლისათვის; ოდეს ერთ დღეს დაჰკითხა ერთმან სად მიხვალო? მანც მიუგო: მივდივარ რათა ვისწავლო ის რაიმები

რომლებიც არ ვიცით.

სოკრატე ფილოსოფოსი ეტყოდა ხოლმე თავის შაგირდებს: პატივი ეცით მასწავლებელსა თქვენსა მშობლებზე მეტად; რადგან მშობელნი არიან მხოლოდ თქვენი მყოფობის მიზეზნი, რომელთ უშობიხართ პირუტყვის მსგავსი გუნდი კორცისა. ხოლო მასწავლებელი არის მიზეზი გაწურთვნისა და განათლებულს კაცად გახდენისა თქვენისა.

ევრონიმე მჭევრმეტყვი დიდის სიბრძნით სწურთნიდა მოწაფეთა თვისთა; ხოლო აზათ განკვირვებულთა თავიანთი მასწავლებლის სიბრძნეზედ ერთხელ დაჰკითხეს მას, «რისაგან არის რომ ეგოდენი დიდი სწავლისა და სიბრძნის პატრონი, მაინც კიდევ ღლახაკი ხარო»? იმანაც უპასუხა და უთხრა: მიზეზი ეს არის რომ მე ბევრი სიბრძნე და მეცნიერება მაქვს ნასწავლი, მაგრამ ვერცხლის მოყვარულობის შეძლება კი არაო,

## პატარა საქრისტიანო მოძღვარება რომელში შეიცმიან უპირველესნი საგანნი კათეხიზისანი.

### ნაწილი პირველი.

### კათეხიზის იმ საგანთა ზედა რომელნიც უნდა ვიცოდეთ მარადის ზეპირად.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ.

საუფლო ლოცვა.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი ვითარცა ჩვენცა მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზური მოკითხვა მარიამისა.

გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა იესო. წმიდაო მარიამ დედაო ღვთისაო, მეოხ მეყავ ჩვენ ცოდვილთა აწ და ჟამსა სიკვდილისა ჩვენისასა ამინ.

სიმბოლო მოციქულთა.

მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლის მპყრობელი ცისა და ქვეყნისა დამბადებელი. და იესო ქრისტე ჩვენი უფალი ძე მისი მხოლოდ შობილი, რომელი მიუდგა სულისა მიერ წმიდისა, იშობა ქალწული მარიამისაგან, ივნო პონტოელი პილატესზე ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა, ჯოჯოხეთში შთავიდა, მესამესა დღესა აღსდგა მკვდრეთით, ზეცას ამაღლდა, ზის ღვთის ყოვლის-მპყრობელისა მამისა მარჯვენითა, იქიდგან უნდა მოვიდეს ცოცხლათა და მკვდარ-

თა განსასამართლებლად. მრწამს სული წმიდა, წმიდა ეკკლესია კათოლიკე, წმიდათა წილდებულობა, ცოდვათა შენდობა, ხორცით აღდგომა, საუკუნო ცხოვრება ამინ.

საქმე სარწმუნოებისა.

ღმერთო ჩემო, მრწამს მე მტკიცედ რომ შენ ხარ მხოლოდ ერთი ღმერთი სამთა თანასწორთა და განრჩეულთა გვამთა შინა, რომელთა ეწოდებისთ მამა ძე და სული წმიდა. კვალად რომ ამ ყოვლად წმიდა სამების მეორე გვამი, ვითამც, ძე, უფალი ჩვენი იესოქრისტე, გარდამოხდა ზეცით განკაცდა, ჯვარს ეცვა და მოკვდა ჩვენის დახსნისათჳს, აღსდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცას. ეგრეთვე რომ ჩვენი სული არის უკვდავი, და შენც ღმერთო მართალო მოსამართლევ, მართალთა მიაგებ საიქიოს სასუფეველის დიდებასა და ცოდვილთა საუკუნო ჯოჯოხეთის სატანჯველსა. ამათ გარდა მრწამს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვწყნარულობ კვალად ყოველსა მას, რაჲც ჰრწამს და წყნარულობს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია. და ესე ყოველი მრწამს მე ამისთჳს რამეთუ შენ ღმერთო, რომელი დაუსრულებელი ჭეშმარიტება ხარ, არ მოატყუებ და არც მოსტყუვდები, ესრედ გამოგიცხადებია ესენი წმიდისა ეკკ-ლესიისათჳს, და იგიცა მიბრძანებს მე რწმუ-ნებასა მათსა.

### საქმე იმედისა

ღმერთო ჩემო რადგან შენ ყოვლის-მპყრობელი მოწყალე და სარწმუნო ხარ, ამისთჳს მე დიდი იმედი მაქვს შენგანა, რომ ჩემი სული ცხონდება იესო ქრისტეს სა-ტანჯველის ძალითა და ჩემი კეთილის საქ-ციელის შემოქმედებითა: რომელსაც გპირ-დები და კიდევაც აღვასრულებ შეწევნითა შენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე სიყვარულისა

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რადგან შენ ყოვლად სახიერი და დაუსრულებლად საყვარელი-ხარ, ყოვლითა გულითა, სულითა, და გონებითა ჩემითა მიყვარხარ და მიყვარს მოყვასიცა ჩემი როგორც თავი ჩემი შენის სიყვარულისათვის.

## საქმე სრული სინანულისა

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელი კეთილი, ამისთვის მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და რადგან მიყვარხარ, ამისთვის ვნანულობ და ვჰსწუხვარ ჭეშმარიტის გულითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათით შემიწყენიხარ შენ: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე. მომიტევე უ-

ფალო ყოველნი ცოდვანი ჩემნი, რომელნი რადგან არიან საძულველნი და საწყენნი შენნი ამისთვის მეც მძულს იგინი და შეურაცხვჰყოფ მათ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბოროტისაგან. და მტკიცედ გპირდები ამიერით არღარ შეცოდებასა მადლითა შენითა, და განშორებასა ცოდვათაგან, და მიზეზთაგანაც ცოდვათა, რამეთუ ამიერით უმეტესად მნებავს სიკვდილი ვირემცღა კვალად შეცოდება შენი. ა მ ი ნ.

ლოცვა მფარველი ანგელოზისა მიმართ.

ღუთის ანგელოზო, რომ ჩემი მფარველი ხარ, მე შენ მოგნდობივარ ღუთის წყალობითა ყოველს ჟამს განმანათლე, დამიფარე მიწინამძღვარე და დამარიგე. ა მ ი ნ.

დიდება მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა: ვითარცა პირველად იყო, აწ, და მარადის, და

უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

## მ ო კ ლ ე ა ღ ვ ი ა რ ე ბ ა.

ვაღვიარებ წინაშე ღვთისა ყოვლის-მპყრობელისა, და შენს წინაშე მამაო, რამეთუ მიცოდებია ფრიად ფიქრითა, სიტყვითა და საქმითა: ვაჲ მე, ვაჲ მე, და უმეტესად ვაჲ მე.

## ა თ ნ ი მ ც ნ ე ბ ა ნ ი ღ უ თ ი ს ა ნ ი.

რავდენი არიან ღუთის ბრძანებანი?

პ. არიან ათნი ესენი.

ა. მე ვარ უფალი და ღმერთი შენი, ჩემს მეტი სხვა ღმერთი ნუ იცი.

ბ. ჩემს სახელს ტყვილად, და ცუდად ნუ დიაფიცამ.

გ. კვირა იცოდე და უქმე შეინახე.

დ. მამასა და დედას, პატივეც რომ დღე-გრძელ იყო.

ე. კაცს ნუ მოჰკლავ.

ვ. ბოზობას ნუ იქმ.

ზ. ქურდობას ნუ იქმ.

ჱ. ტყვილად ნუ დაემოწმები.

თ. სხვის ცოლსა და ქალს ნუ მოინდომებ.

ი. სხვის საქონელი ნუ შეგშურდება.

წ მ ი დ ა ე კ კ ლ ე ს ი ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ნ ი

კ. რავდენი არიან წმიდა ეკკლესიის ბრძანებანი?

მ. არიან ექვსნი ესენი.

ა. კვირასა და უქმე დღესა სრული წირვის მოსმენა.

ბ. განწესებულ დღეებში მარხვის და მარხულობის შენახვა როგორც ბრძანებული არის წმიდა ეკკლესიისაგან.

გ. წელიწადში მაინც ერთხელ აღსარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა.

დ. აღდგომის დღეებში ზიარება.

ე. ყოველი მოსავალისა და მონაგებისაგან ათის თავის მიცემა საეკლესიოდ.

ვ. დაშლილ დღეებში არა ქმნა ქორწილისა.

კ. შეგვიძლია, რომ ეგ ყოველა ბრძანებანი შევინახოთ?

მ. ჰე შეგვიძლია ღვთის მადლითა.

კ. ღმერთი რით მოგვცემს ჩვენ თავის წმიდა მადლებსა?

მ. ლოცვითა და წმიდა ეკკლესიის საიდუმლოებითა.

კ. რავდენი არიან წმიდა ეკკლესიის საიდუმლონი?

მ. არიან შვიდნი ესენი.

ა. ნათლის-ღება, რომელიც ადამის ცოდვას, და საქმით ნაქმნარს ცოდვას ახოცს, და შეიქმს კაცს ქრისტიანად და ღვთის შვილად.

ბ. მირონის-ცხება, რომელიც განაძლიერებს სარწმუნოებაში.

გ. აღსარება, რომელიც აღხოცს ნათლის-ღების შემდგომ მოქმედებულთ ცოდვათა.

დ. ზიარება, რომელიც გამოზრდის სულსა, და დაიცვამს ღუთის მადლში.

ე. მღუდლის-კურთხევა, რომელიც მიანიჭებს ძალსა მღვდლად კურთხვილსა, რათა კეთილად აღასრულოს მღუდლებრივნი თანამდებობანი თვისნი.

ვ. გვირგვინის-კურთხევა, რომელიც შეეწევის დაქორწინებულთა რათა შეიძლონ გარდახდა თვისთა მოვალეობათა.

ზ. ბოლოზეთის ცხება, რომელიც განაძლიერებს მძიმე სნეულსა წინამდეგად განსაცდელთა, და ზოგჯერმე კორცის სიმრთელესაც მისცემს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აღსარების საიდუმლოს ზედა.

კ. რავდენი საქმენი ეჭიროებიან კაცსა სრული აღსარებისათვის?

მ. ხუთნი.

ა. ჩხრეკა.

ბ. სინანული.

გ. პირობის დადება.

დ. აღვიარება ცოდვათა ვინა განდობა.

ე. საკანუნოს გარდახდა.

კ. რაჲ არს ჩხრეკა?

მ. ჩხრეკა არს ფრთხილი გამოძიება გულის-ტანჯვისა თვისისა, და ყოველთა მოქმედებულთა ცოდვათა თვისთა მოგონება, რაც შეუცოდებია ფიქრითა, სიტყვითა, საქმითა და გარდამავლობითა.

კ. რა არის სინანული?

მ. სინანული არს გულის წუხვილი ღუთის შეწყენისათვის, და ცოდვათა თვისთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღურება.

კ. რავდენად განიყოფების სინანული?

მ. ორად: სრულ სინანულად და უსრულ სინანულად.

კ. სრული სინანული რომელი არის?

მ. სრული სინანული არის გულის წუხვილი რომლითაც კაცი ჰსწუხს და ნანობს ყოველს თავის ცოდვებზე მხოლოდ ღუთის შეწყენისათვის.

კ. უსრული სინანული რომელი არის?

მ. უსრული სინანული არის გულის წუხვილი რომლითაც კაცი ჰსწუხს და ნანობს ყოველ თავის ცოდვებზე სასუფეველის დაკარგვისათვის, და ჯოჯოხეთის ღირს გახდენისათვის.

კ. რა არის პირობის დადება?

მ. პირობის დადება არს ერთი მტკიცე და მკვიდრი ნება მოსასვლელად აღარ შეცოდებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რა არის აღვიარება ცოვათა გინა განდობა?

მ. არის სიმართლით დაბეზღება თავისა თვისისა და სრულიად აღვიარება წინაშე მღვდლისა ყოველთა მოქმედებულთა ცოდვათა თვისთა.

კ. რა არის საკანუნოს გარდახდა?

მ. საკანუნოს გარდახდა არს ნებიერად შეწყნარება და აღსრულება ყოველთა საქმეთა მათ რომელთაც განდოს მამა დაავალებს.

წმიდა ზიარების საიდუმლოს ზედა.

კ. რა არის წმიდა ზიარების საიდუმლო?

მ. არის ჭეშმარიტი კორცი, სისხლი, სული, და ღუთაება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი პურისა და ღვინის სახის ქვეშ.

კ. რა ნაირად უნდა მომზადებული ვიყოთ წმიდა ზიარების მისაღებლად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. პირველად უნდა გვრწამდეს რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე წმიდა ზიარების საიდუმლოში აწმყოდ იმყოფების ჭეშმარიტად.
მეორედ კარგი აღსარებით და სინანულით უნდა ვიყოთ ცოდვათაგან განწმედილი.
მესამედ შუა-ღამიდგან უნდა უზმა ვიყოთ წმიდა ზიარების მიღებამდისინ.
მეოთხედ წმიდა ზიარების მიღების უწინ და მიღების შემდგომ სიმდაბლით, და მხურვალობით უნდა ვილოცოთ, განვიახლოთ სარწმუნოება, იმედი, სიყვარული. ვემადლოთ ქრისტესა იმ მიღებული კეთილისათვის. და ვითხოვოთ მისგან სულიერი და ხორციელი წყალობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი მეორე.

### კათეხიზის სხვა უმთავრესთ საგანთა ზედა.

### კაცის აღსასრულსა ზედა.

კ. შენ ქრისტიანი ხარ?

მ. ჰე მე ქრისტიანი ვარ ღვთის წყალობითა

კ. ვინ არის ქრისტიანი?

მ. იგი რომელიც მონათლული არის, და აღვიარებს სარწმუნოებასა იესო ქრისტესსა.

კ. ქრისტიანის ნიშანი რომელი არის?

მ. არის წმიდა ჯვარი, რომელიც უნდა გამოვისახოთ ხოლმე ესრედ: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ამინ.

კ. ვინ დაგბადა შენ?

მ. ღმერთმან, რომელიც არის მხოლოდ ერთი, და დამბადებელი ცისა და ქვეყნისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რისათვის დაგვბადა შენ ღმერთმან?

მ. ამისთვის რათა ვიცნა ღმერთი, შევიყვარო, და ვემსახურო მას ამ ქვეყანაზედ და მერმე წავიდე სასუფეველში.

კ. რავდენი რაჲმენი ეჭირებიან კაცსა საცხონებლად?

მ. სამნი რაჲმენი.

ა. სარწმუნოება.

ბ. იმედი.

გ. სიყვარული.

წმიდა სამების საიდუმლოსა ზედა.

კ. რაჲ არს საიდუმლო წმიდა სამებისა?

მ. ის არის რომ ერთი ღმერთი იმყოფების სამთა განრჩეულთა გვამთა შორის, რომელთა ეწოდებისთ მამა, ძე და სული წმიდა.

კ. სამივე თვითეული გვამი ღმერთი არის?

მ. დიაღ ღმერთი არის, მამაც, ძეც და სული წმიდაც.

კ. მაშ სამნი ღმერთნი არიან?

მ. არა, არამედ ერთი ღმერთი და სამი გვამი; რადგან სამთავე გვამთა ერთი და ისივე არსება და ერთი და ისივე ღუთაება აქუსთ; ამისგამოა რომ დიდპატარობაც არ არის მათ შორის და სამნივე ყოვლითურთ თანასწორენი არიან

კ მაშ რით განირჩევიან ერთმან ერთისაგან?

მ ამით განირჩევიან რომ მამა არავისაგან არ გამოვალს, ძე მამისაგან იშობების, და სული წმიდა მამისაგან' და ძისაგან გამოვალს.

### განხორციელებასა ზედა ძისა ღუთისა.

კ. რა არის განხორციელების საიდუმლო?

მ. განხორციელების საიდუმლო ის არის რომ, მეორე გვამი ყოვლად წმიდა სამები-

სა, ვითამც, ძე, რომელი იწოდების იესო ქრისტე, და არის ჭეშმარიტი ძე ღვთისა, გარდამოხდა ზეცით ქვეყნად, და განკაცდა, მიიღო ჩვენ ნაირი სული და ხორცი სამოსა შინა ქალწული მარიამისა სულისა მიერ წმიდისა, ვითამც, სასწაულითა.

კ. სად იშობა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და რავდენს წელიწადს დადგა ქვეყანასა ზედა?

მ. იშობა ბეთლეემის ქალაქში ოცდა ხუთსა დეკემბრისასა, დადგა ქვეყანასა ზედა ოცდა ცამეტი წელიწადი და სამი თვე, და განმავალობაში ამა ჟამისა გვასწავლა ჩვენ გზა სასუფეველისა სიტყვითა, საქმითა, და სასწაულო-მოქმედებითა.

კ. შემდგომ რა ქმნა?

მ. შემდგომ ნებითა თვისითა გაიტანჯა, ჯვარს-ეცვა, და მოკვდა კაცების ბუნებითა ჩვენი დახსნისა-თვის ეშმაკის ტყვეობისაგან, რომელშიაც ვიყავით ჩვენ შთავარდნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნი ადამის ცოდვის გამო.

კ. ქრისტეს სიკვდილის მერე რა მოხვდა?

მ. სული ქრისტესი შთავიდა ლიმბოზში, დასახსნელად მართალთ სულთა, რომელნიც მიელოდნენ იქ ქრისტეს მისვლასა. და ჴორცი მისი დასდვეს ახალს საფლავში, სიდგანაც მესამესა დღესა აღჰსდგა მკვდრეთით თვისი ღუთიური ძლიერებითა, ორმოც დღეს მოციქულთა-თანა დადგომის შემდგომ, ამაღლდა ზეცას, და დაჯდა მარჯვენით მამა ღმერთისა, შემდგომ ათი დღისაცა მოუვლინა სული წმიდა, მოციქულთა და მოწაფეთა თვისთა, რომელთაც, აღივსნენ რა სულითა წმიდითა, მოვლეს მრთელი ქვეყანა და ქადაგებითა წმიდისა სახარებისა და ურიცხვი სასწაულების ქმნითა, მოაქციეს ყოველნი ტომნი ქრისტეს ჭეშმარიტს სარწმუნოებასა ზედა.

კ. თუ რომ ქრისტე მკვდარი იყო როგორდა აღადგინა მან თავი თვისი?

მ. როგორათაც რომ ოდეს კაცი მოკვდების, ჴორცით მოკვდება, და სული მისი დარჩება უკვდავათ, ესრეთვე როდესაც ქრისტე მოკვდა თავისი კაცების ბუნებით მოკუდა, და არა თავისი ღუთაების ბუნებით. ამისთვის თუმცა სული ქრისტესი გაეყარა ჴორცსა, მაგრამ ღუთაება კი არ გაეყარა არცა სულსა და არცა ჴორცსა მისსა და რადგან ღუთაება ესე ქრისტესი ცოცხალი იყო, ამანვე აღადგინა კაცება იგი მისი, რომელიცა მკუდარი იყო.

კ, რავდენი გვამი და რავდენი ბუნება აქვს ქრისტესა?

მ. ერთი მხოლოდი გვამი აქვს ღვთაებისა, მაგრამ ბუნება კი ორი აქვს, ვითამც ბუნება ღუთაებისა, და ბუნება კაცებისა, ამიტომ რომ პირველად მამისაგან იყო შობილი ღუთაების ბუნებითა უწინარეს ყოველთა საუკუნოეთა, და მეორედ დროსა შინა იშობა მარიამ ქალწულისაგან კაცების ბუნებითა უმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდ; და ამისთვის იესო ქრისტე არის სრული ღმერთი და სრული კაცი.

კ. ახლა ქრიტე სად არის?

მ. ღუთაების ბუნებით ყოველგან არის, ხოლო კაცების ბუნებით ზეცას არის და ყოვლად წმიდა ზიარებაში.

კ. კიდევ მოსასვლელი არის ქრისტე ქვეყანასა ზედა.

მ. დიად მოსასვლელი არის დასასრულსა ამ სოფლისასა განსასამართლებლად ცოცხალთა და მკვდართა.

## წმიდა ეკკლესიისა ზედა.

კ. რა არის წმიდა ეკკლესია?

მ. წმიდა ეკკლესია არის სიმრავლე განა-კრება ყოველთა მორწმუნეთა, რომელნი-ცა ემორჩილებიან ერთ მწყემსს, ჰრომის წმიდა პაპსა, რომელიც არის იესო ქრის-ტეს მაგიერი, და თავი ყოველთა ქრისტი-ანეთა.

კ. სარწმუნოება საკმაო არის ცხონები-სათვის?

მ. არ არის საკმაო, არამედ თანვე სარ-წმუნოებისა საჭირო არის დაცვა ღუთისა და ეკკლესიის ბრძანებათა, ბოროტისაგან მო-შორება და კეთილის ქმნა, რომლის მთავარ-ნი საქმენი არიან ლოცვა, მოწყალება გი-ნა მოყვასის შეწევნა სულერად თუ გორ-ციელად და მარხვის შენახვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ცოდვისა ზედა.

კ. რა არის ცოდვა.

მ. ცოდვა არის საქმე ანუ ფიქრი და ანუ სიტყვა ღუთის და წმიდა ეკკლესიის ბრძანების წინამღდეგი, რომელსაც ვიქმთ ჩვენ ნებიერად, ანუ ფიქრით, ანუ სიტყვით, ანუ საქმით, და ანუ გარდამავალობით, ვითამც ანუ ვიქმთ მას რაჲსაც ღმერთი და წმიდა ეკკლესია გვიშლის, და ანუ არა ვიქმთ მას რაჲსაც, ღმერთი და წმიდა ეკკლესია გვიბრძანებს.

კ. რავდენად განიყოფვის ცოდვა?

მ. უფროსი ერთი განიყოფვის ცოდვა ორად, მომაკვდინებლად და შესანდობელად. მომაკვდინებელი გინა მძიმე ცოდვა ღუთის შვილობას და სასუფეველს დაგვაკარგვინებს და ჯოჯოხეთის ღირსს შეგვიქმს; ხოლო შესანდობელი გინა მსუბუქი ცოდვა, ღუთის შვი-

ლობას არ დაგვაკარგვინებს.

კ. ფიქრით რავდენ ნაირად მოხვდება ცოდვა?

მ. ორ ნაირად: პირველად, როცა კაცი ინატრებს და ინებებს საქმით შესრულებასა რომელიმე ცოდვისასა. მეორედ, როცა საქმით ასრულებას არ უნდა, მაგრამ მაინც კი ნებიერად ისიამოვნებს იმაზედა.

კ. რა არის ამისთანა საცდურების წამალი?

მ. სასწრაფოდ უნდა განაძიოს თავისი გონებისაგან იმისთანა ფიქრი და თვალ-ყური უნდა მოარიდოს მაშინვე. ღმერთს მიჰმართოს ლოცვითა, და უცოდო საგნებზედ გარდაასყოლოს თავისი გონება. და როდესაც კაცი არ შეიწყნარებს და ნებას არ მისცემს ბოროტ ფიქრებსა, მაშინ ცოდვა არ მოხვდება, რადგან უნებური რამე ცოდვა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. რავდენი არიან თავნი ცოდვანი?

მ. არიან შვიდნი ესენი.

ა. ამპარტავნება, გინა კოხტაობა.

ბ. ანგაარება, გინა ხარბობა.

გ. მეძაობა, გინა ბოზობა.

დ. მრისხაობა, გინა ჯავრიანობა.

ე. ნაყროვანება, გინა ლოთობა.

ვ. შური, გინა გაუტანლობა.

ზ დაზარება, გინა ზანტობა.

კ. რავდენი ღვაწლნი არიან მაგათი წინაღმდეგნი?

მ. არინ შვიდნი ესენი.

ა. სიმდაბლე.

ბ. უხვობა.

გ. გორცის სიწმიდე, გინა უბიწობა.

დ. მოთმინება.

ე. ზომიერობა.

ვ. მოყვასის სიყვარული.

ზ. მხნეობა შრომითურთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საცალკეო და საყოვლიერო სამართალის ზედა.

კ. რაჟამს კაცი მოკვდება მისი სული სად წავა?

მ. ფიცხლავ წარსდგება იგი ქრისტესსაში-შარს სამართალში განსასამართლებლად რომელსაც ჰქვიან საცალკეო სამართალი. მაშინ თუ რომ სული იგი იქმნების ყოვლი-თურთ წმიდა და უმანკო, სწრაფად წაიყვანს მას ქრისტე სასუფეველში. ხოლო თუ სული იგი გასულა ამა სოფლისაგან რომელსამე მომაკვდინებელს ცოდვაში შეუნანებლად, მაშინ წარგზავნის მას ქრისტე სწრაფად ჯო-ჯოხეთში განსატანჯავად ეშმაკებთან სამუდა-მოდ. ხოლო თუ სული იგი იქმნება რო-მელსამე მსუბუქს შესანდობელს ცოდვებ-ში და ანუ თუ შენანებული ცოდვების საკანონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ექმნება ამ ქუეყანაზედ გარდახდილი, მაშინ წარგზავნის მას ქრისტე განსაწმედელში, სად იგოდენს ხანს დამთება და გატანჯება იგი იმ განსაწმედელის ცეცხლში, ვიდრემდისინ გარდაიხადოს თვისი შენანებული ცოდვების საკანონო, და გაწმდეს იმ მსუბუქი შესანდობელი ცოდვების მანკისაგან და მერმედ გამოსული იქიდგან პირდაპირ სასუფეველში წავა. ამისთვის რადგან შეგვიძლია ჩვენ შეწევნა განსაწმედელის სულებისა, უნდა შევეწიოთ მათ ხოლმე ლოცვითა, წირვითა, მათს აზრზედ შენდობათა მოზებითა და სხვა კეთილ მოქმედებაების ქმნითა რათა რომ მალე განთავისუფლდნენ იგინი იმ დროებითთა სატანჯველთა თვისთაგან.

კ. რა განირჩევა იპოების საყოვლიერო და საცალკეო სამართალსა შინა.

მ. ეს განირჩევა იპოების რომ საცალკეო

სამართალში თვითოეული კაცის სულს მხოლოდ მიიღებს მისაგებელსა, რომლისაც ღირსი იქმნების საქმეთაებრ თვისთა: ხოლო საყოველიერო სამართალში ყოველნი კაცნი სულით და ჴორცით ერთად შეერთებულნი მიიღებენ მისაგებელსა, რომლისაც ღირსნი იქმნებიან. ამიტომ რომ მეორედ მოსვლის დროს ჩვენ ყოველნი მკვდრეთით აღვჯსდგებით ამა ჩვენივე ჴორცითა, და შემდგომ საყოველიერო სამართლისა, ჩვენგანნი რომელნიც მართალნი იქმნებიან სულით ჴორცით საუკუნოდ სასუფეველში წავლენ, და რომელნიც ცოდვილნი იქმნებიან სულით ჴორცით საუკუნოდ ჯოჯოხეთშიდ წავლენ.

დასასრული.

## სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდი.

ანბანი და ზნეობითნი სიტყვანი. . . . 5
მამაო ჩვენო, გიხაროდენი და მრწამსი. 12
საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა და სინანულისა. . . . . . 14
ღუთისა და წმიდა ეკკლესიის ბრძანებანი. 18
წმიდა ეკკლესიის საიდუმლონი. . . . 20
აღსარების და წმიდა ზიარების საიდუმლოთა ზედა. . . . . . . . . . . . 22
კაცის აღსასრულსა ზედა. . . . . . . 26
წმიდა სამების საიდუმლოსა ზედა. . . 27
განხორციელებასა ზედა ძისა ღვთისა. 28
წმიდა ეკკლესიასა ზედა. . . . . . . 33
ცოდვასა და საცდურსა ზედა. . . . . . 34
სამართალსა, სასუფეველსა და ჯოჯოხეთისა ზედა. . . . . . . . . . . . 37

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყოველ დღივ სათქმელნი წვრილნი ლოცვანი ყრმათათჳს.

### დილის ლოცვა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ.

უფალო და ღმერთო ჩემო, გწირავ შენ გულსა ჩემსა, თაყვანის-გცემ, და მიყვარ ხარ ყოვლითა გულითა ჩემითა.

გმადლობ, რომ დამბადე ქრისტიანედ და დამიფარე ამას ღამესა შინა.

გწირავ შენ ყოველთა საქმეთა ჩემთა; და ვევედრები მომანიჭე მე მადლი, რომ არაოდეს შეგაწყინო შენ, და მეტადრე დღევანდელ დღესა.

აქ ჩასთქჳ. მამაო- ჩვენო-. გიხაროდენი. მრწამსი. საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, ღვთის ანგელოზო-, დიდება მამასა, ღვთის ბრძანებანი, ეკლესიის ბრძანებანი, და წმიდა ეკლესიის საიდუმლონი იხილე ზეით ფურც.

12 ვიდრე. 25 რიცხვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოცვა.

ღმერთო ჩემო, შენ უკეთილესად ჰსცნობ ყოველსა საჭიროებასა ჩემსა, ამისთჳს ნაყოფთა მიერ იესო ქრისტესი საყვარელი ძისა შენისა, ჲ მეოხებითა ყოვლად წმიდა ქალწული მარიამისა, ჳთხოვ შენგან სიმდაბლით ყოველთა მადლთა მათ შენთა, რომელნიცა საჭირონი არიან ჩემთჳს სიწმიდით გასატარებლად დღევანდელი დღისა. ამასთანვე გევედრები მომანიჭო მე დღეს ყოველნი სულიერნი ჲ ჟამიერნი წყალობანი შენნიცა, ა მ ი ნ.

## ლოცვა იესოს მიმართ.

თაყუანისსაცემელო იესო, ღვთიულო მაგალითო ყოველი ღვაწლისა, ჲ სისრულისაო, რომლისადმი მიწევნისათჳს ჩვენ ყოველნი უნდა ვცდილობდეთ, მნებავს მე დღეს შეწევნითა შენითა გულს-

მოდგინედ შრომა, რათა შეძლებისაებრ ჩემისა ჳყო შენსაჳთ მშჳდი, მდაბალი, უბიწო, მორჩილი, მომთმინე, უწყენარი, დამკვიდრებული ღვთიურს ნებასა ზედა, მოღვაწე სულთა ცხონებისათჳს, კეთილის-მყოფელი ყოველთა, კეთილი მაგალითის მაჩვენებელი ყოველთა, შემასრულებელი ღვთიური ნებისა ყოველსა ჟამსა. ამასთანავე დღეს უნდა ჳხმარო კერძოობითად ყოველი ღონის ძიება, რათა არდარ შთავარდე მე ჩვეულებრივთა ცოდვათა მათ შინა, რომლებშიაც ამის წინათ ხშირათ შთავარდნილვარ, გაჳსწორო ყოვლითურთ ცხოვრება ჩემი, და გავატარო დღევანდელი დღე ესე უცოდოდ მადლითა შენითა, აკურთხე უფალო, შრობა ესე ჩემი, და მომეც შეძლება შევასრულო ესე ყოველი ეგრეთ ჳთარცა აღგითქჳ ჭეშმარიტის გულითა, ა მ ი ნ.

ლოცვა ღვთის მშობლისა მიმართ.

ყოვლადა წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, დიდის სასოებით გე-

ვედრებ შენ აწ ყოვლითურთ საწყალისა თავსა ჩემსა, და სიმდაბლით გევედრებ რათა იყო შემწე ჩემი განსაცდელსა შინა, შესავედრებელი გაჭირვებასა შინა, ნუგეშინისმცემელი შეწუხებასა შინა, მფარველი ყოვლისა ბოროტისაგან, მზრუნველი ყოველი საჭიროებისა ჩემისათჳს სულიერისა თუ ჴორციელისა და მეოხე თაყვან-საცემელი ძისა მიმართ შენისა დღეს, ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა და საკუთრად ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა, ამინ.

გიხაროდენ დედუფალო, მოწყალების დედაო, ცხოვრებაო, სიტკბოებაო და სასოებაო ჩვენო, გიხაროდენ, შენდამი ვღაღადებთ გამოდევნილნი ევას ძენი შენდამი სულს ჳთქვამთ ცრემლითა და გოდებითა დელესა ამას გლოჳსა, მაშ ჵი შუა მდგომელო ჩვენო, მოაქციე შენი მოწყალების თუალი ჩვენ ზედა. და კურთხეული იესო ნაყოფი მუცლისა შენისა, ამ ექსორიის შემდგომ გჳჩვენე ჩვენ, ჵი მოწყალეო, ჵი კეთილო, ჵი ტკბილო ქალწულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ.

ა. მეოხ მეყავნ ჩვენ წმიდაო ღვთისა მშობელო.

მ. რათა ღირს ვიქმნეთ აღთქმათა ქრისტესათა.

ვილოცოთ.

ყოვლის მპყრობელო და სამარადისო ღმერთო, რომელმან დიდებული ქალწულის მარიამის სული და ჴორცი სულისა წმიდისა მიერ უწინარეს განამზადე, რათა მშვენიერად ღირსეული სადგომი ყოფილ იყო ძისა შენისა, მოგვეც ჩვენ გვედრებით რათა რომელნიც მოხსენებითა მისითა ვხარობთ, მისივე მოწყალის მეოხებითა აწინდელთა ბოროტთაგან და სამარადისოჲსა სიკვდილისაგან დავიხსნებოდეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ა მ ი ნ.

გვაკურთხოს ჩვენ ყოვლის-მპყრობელმან ღმერთმან მამამან, ძემან, და სულმან წმიდამან, ა მ ი ნ.

## მოკლე წირვის რიგი.

### წმიდა წირჳს დაწყობის დროს ჴსთქჳ.

საუკუნო მამაო, გწირავ შენ ამ წირჳს მიერ, იესოსა ძესა შენსა, ყოველი ნაყოფები თურთვ ნებათა მისთა,ა. პატივის საცემლად ღვთიური დიდებულობისა შენისა. ბ. სამადლობოდ აურიცხველთა კეთილთა მათ, რომელნიცა მიმიღია მე შენგან. გ. სალხინებლად ცოდვათა, თუ ჩემთა, და თუ ყოველთა ცოცხალთა, და მიცვალებულთა; და დ. მისაღებლად შენგან საუკუნო ცხოვრებისა, და ყოველი იმ მადლებისა რომელნიცა მესაჭიროებიან მე ცხონებისათჳს სულისა ჩემისა.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგჳწყალენ ჩვენ. გ.

სულო ქრისტესაო, განმწმინდე მე
ჴორცო ქრისტესაო, მაცხოვნე მე
სისხლო ქრისტესაო, მასჳ მე
წყალო გვერდისა ქრისტესაო, განმბანე

მე სატანჯველნო ქრისტესნო, განმაძლიერეთ მე. ჵი სახიერო იესოჳ, შემისმინე მე. „დაკოდილებათა შენთა შინა დამიცვე“ მე. ნუ მიმიშვებ მე განყრად შენგან ცოდჳთა. ბოროტისა მტერისაგან განმარინე მე. ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა მიწოდე შენთან. რათა წმიდანთა შენთა თანა გაქებდე შენ უკუნისამდე. ა მ ი ნ.

ლოცვა ყოველთა წმიდანთა მიმართ.

ურიცხჳთა სასწაულთა, მოქმედნო, ვედრებათა მსმენელნო და თქვენდამი მოლტოლჳლთა სწრაფად ნუგეშის-მცემელნო, წმიდანო ღვთისანო, წმიდაო ღვთის-მშობელო, წმიდაო მიქაელ, წმიდაო იოვანე ნათლის-მცემელო, წმიდაო მამა იოსებ, წმიდაო პეტრე, წმიდაო პავლე, წმიდაო სტეფანე, წმიდაო ნიკოლა, წმიდაო იოვანე ოქრო პირო, წმიდაო გრიგორ განმანათლებელო, წმიდაო ანტონ მეუდაბნოელო, წმიდაო ანტონ პატოველო, წმიდაო თვრა-

ნჩისკე ქსავერიანო, მფარველო, ანგე-ლოზო, სახელ-მოდგამო ჩემო, წმიდაო (სახელი), წმიდაო ნინა ქალწულო, და ყოველნო ანგელოზნო, წინასწარ-მეტყველნო, მოციქულნო, მამათ-მთავარნო წამებულნო, აღმსარებელნო, ქალწულნო და ყოველნო წმიდანო, ილოცეთ ჩემთჳს ღვთისა მიმართ, შემეწიენით, და დამიფარეთ მე ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა, მატადრე დღესა ამას, და ჟამსაცა სიკვდილისა ჩემისასა, ა მ ი ნ.

ჟამსა წმიდა არსისა ჳსთქჳ.

წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, უფალო ღმერთო ძალთაო, სავსე არიან ცანი, და ქვეყანა დიდებითა შენითა. ოსანნა მაღალთა შინა, კურთხეულ ხარ მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანნა მაღალთა შინა.

ოდესაც მღვდელი წარმო-სთქვამს წმიდა სიტყვებსა და განსწმედს სეფისკვერსა და ზედაშსა, ჳსთქჳ ესრედ.

ღმერთო ჩემო, სიყვარულისათჳს ძისა ამის შენისა მომიტევენ ცოდვანი ჩემნი, და მომეც გამძლეობა უცოდველ ცხოვრებასა შინა.

მრწამს უფალო ჩემო იესო, რომ აწმყოდ იპოები შენ აწ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოში, გესავ, და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და ვსწუხვარ რომ გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა არ შემიყვარებიხარ, არამედ შემიწყენიხარ შენ ფრიად ჭი განუზომელო კეთილო!

ლოცვა ვიზიტისა წმიდა ზიარების საიდუმლოს მიმართ სათქმელი.

ყოვლად საყვარელო უფალო ჩემო იესო, მრწამხარ რომ აწმყოდ იპოები შენ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოსა შინა, გესავ, და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, თაყვანის-გცემ, და მოჯგითხავ სიმდაბლით ყოველთა მოყვარულს, და ყოვლად საყვარელს წმიდასა გულსა მაგას შენსა, გმადლობ იგოდენთა

კეთილთა მათთჳს რომელნიც მოგინიჭე-ბია ჩემთჳს, ვსწუხვარ შეწყენისა შენისა-თჳს გაულილს ცხოვრებასა შინა ჩემსა, და გვედრები რათა ამიერით უფროსად ჯრ-ჩიო სიკვდილი ჯრემც შეწყენა შენი მა-დლითა შენითა. მომეც მე წმიდა სიყვა-რული შენი, გამძლეობა უცოდველო ცხოვ-რებასა შინა, სისრულით შესრულება ნე-ბისა შენისა, და დასასრულსაცა სიცოც-ხლისა ჩემისასა კეთილი სიკვდილი. მო-ანიჭე ცოდჳლთა მოქცევა, ყოველთა ცო-ცხალთა უხჳ წყალობა, და მადლსა შინა შენსა მიცვალებულთა საუკუნო განსვე-ნება, ა მ ი ნ.

ოდეს მღვდელი ეზიარება, ჰქმენ შენცა სურვილით ზიარება.

იესო ჩემო, მიყვარხარ შენ, გნატრობ შენ, მოგემთხვევ, და მოგესურვილები შენ და არა მნებავს ამიერით განყრა შენგან უკუნისამდე. ა მ ი ნ.

ვედრება ღვთისადმი ცოცხალთა და მი-ცვალებულთათჳს.

გარდამოავლინე უფალო კურთხევა შენი, მშობელთა ჩემთა ზედა, მეგობართა ჩუმთა ზედა, კეთილის მყოფელთა ჩემთა ზედა, და მტერთა ჩემთა ზედა, დაიცევ ყოველნი სასულიერო წინამძღვარნი, და სამოქალაქო მმართებელნი ჩვენნი. შეეწიენ გლახაკთა, დატყუევებულთა, სნეულთა, და მომაკვდავთა, მოაქციე მწვალებელნი, და განანათლე ურწმუნონი, რათამცა გიცნან, და შეგიყვარონ შენ იმათაც.

ღმერთო სახიერო, რომლისა მოწყალება განუზომელ არს, შეიწყალენ სულნი ყოველთა ქრისტეს მიერ მიცვალებულთა, და განუსვენენ მათ ყოველთა, რომელთათჳსაცა თანამდებ ვარ მე ლოცვად.

განსვენებასა საუკუნო მიანიჭე მათ უფალო, და ნათლითა სამარადისოჲთა განანათლენ იგინი. განისვენონ მშჳდობით, ა მ ი ნ.

ხოლო დანაშთ დროებში წმიდა წირვას მოისმენს, ჱსთქვ ხოლმე სავარდი წმიდისა ღვთის მშობლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საღამოს ლოცვა .

თაყვანსა-გცემ შენ, ღმერთო ჩემო, დ̃ მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა, გმადლობ რამეთუ დამბადე, მყავ ქრისტიანედ დ̃ დამიფარე დღესა ამას. მომეც მე მადლი, რათა ჳცნა ცოდვანი ჩემნი, დ̃ შეჳნანო იგინი ჭეშმარიტებით .

აქ ჲსთქჳ ჳთარცა დილის ლოცვაში ითქვა მამაო ჩვენო, გიხაროდენ, მრწამსი, საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, ღვთის ანგელოზო, დიდება მამასა, სავარდი, და ლიტანია წმიდისა ღვთის მშობლისა, და მერმე შემდეგნი ლოცვანი .

ლოცვა ჳზიარისა წმიდისა ღვთის-მშობლისა მიმართ .

ჵი ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, დედუფალო ცისა დ̃ ქვეყნისაო შუამდგომელო, იმედო, დ̃ შესავედრებელო ცოდვილთაო, მოვლტჳ აწ შენდამი მე სა-

წყალობელი ცოდჳლი ესე, და გევედრე-
ბი სიმდაბლით რათა მიმიღო მე მოწყალედ
შენდა, დამიცვა მარადის ქვეშე მფარვე-
ლობისა შენისა, განმარინო ყოველთა
განსაცდელთაგან სულისა თუ ჴორცისა,
მომიშოვნო ღვთისაგან ჭეშმარიტი სი-
ყვარული იესო ქრისტესი, და მხურვალე-
ბა შენი, შემეწიო მე მარადის და მეტად-
რე ჴოლო წამსა მას სიკვდილისა ჩემი-
სასა, შენთჳს მომინდჳა საქმე საუკუნო
ცხოვრებისა ჩემისა, და შენ-მიერ მოვე-
ლი სიწმიდით დავედრებასაცა სულისა
ჩემისასა ღვთისადმი ჟამსა სიკვდილისა
ჩემისასა.

საფარველსა ქვეშე შენისა დაფარჳთ და-
გჳფარე ჩვენ, წმიდაო ღვთის-მშობელო,
სათხოჳარსა ჩვენსა ნუ უგულვებელს
ჰყოფ ჭირთა შინა ჩვენთა, არამედ
ყოვლისა წარწყმედილობისაგან გჳხსენ
ჩვენ, მარადის ქალწულო დიდებულო და
კურთხეულო.

მ. მეოხ მეყავნ ჩვენ, წმიდაო ღვთის
მშობელო.

ა. რათა ღირს ვქმნათ აღთქმათა ქრი-
სტესათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილოცოთ.

მოგჳმადლე, ჩვენ მონათა შენთა უფა-
ლო ღმერთო რათა სამარადისოჲთა ცხ-
ოვრებითა სულისა და ხორცისათა, ჳხა-
რებდეთ და მეოხებითა ნეტარისა დიდე-
ბულისა და მარადის ქალწულისა მარია-
მისათა დაჳხსნებოდეთ აწინდელთ მწუ-
ხარებათაგან, და სამარადისოჲთა სიხარუ-
ლითა ჳშვებდეთ ქრისტეს მიერ უფლისა
ჩვენისა.

ანგელოზმან უფლისამან ახარა ქალწუ-
ლს მარიამს და მიუდგა სულისა მიერ
წმიდისა. გიხაროდენ და სხვაც

აჰა მხევალი უფლისა მეყავნ მე სიტყჳ-
სა-ებრ შენისა. გიხაროდენ.

და სიტყვა იგი ხორციელი იქმნა და და-
ემკჳდრა ჩვენ შორის. გიხაროდენ.

მ. მეოხ მეყავნ ჩვენ, წმიდაო-
ღვთის-მშობელო.

ა. რათა ღირს ვქმნეთ აღთქმათა

ქრისტესათა. ვ ი ლ ო ც ო თ.

გევედრებით უფალო გონებათა ჩუენთა შინა შთაღვარე შენი წმიდა ნათლის მადლი რათა რომელთა კარებითა ანგელოზისათა გჳცნიეს განკორციელება ქრისტესი ძისა შენისა. სატანჯველითა მისითა და ჯვრითა მივეწივნოთ დიდებასა შინა აღდგომისა უფლისა ჩკენისა იესო ქრისტეს მიერ. ა მ ი ნ.

აღდგომის დღეებში ნაცვლად ანგელოზმანისა ითქმის შემდეგი.

გიხაროდენ დედუფალო ცისაო, ალელუია. რამეთუ რომლის ტჳრთვად ღირს იქმენ, ალელუია. აღსდგა მკვდრეთით ვითარცა ჰსთქვა, ალელუია. ევედრე ჩვენთჳს ღმერთსა, ალელუია.

მ. იშვებდ და იხარებდ ქალწულო მარიამ, ალელუია.

ა. რამეთუ ნამდჳლვე აღჰსდგა უფალი ალელუია. ვ ი ლ ო ც ო თ.

ღმერთო, რომელმან აღდგომითა ძის

შენისა, დ̃ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა სოფელი განახარე, გევედრებით მოგვმადლე რათა მშობლისა შენისა ქალწული მარიამისა მიერ მიჯდოთ ჩვენ სიხარულნი სამარადისოჲსა ცხოვრებიჲსანი, მისვე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. ა მ ი ნ.

მიხვალ რა დასაძინებლად ჰსთქვ ესრედ.

დამიცევ მე უფალო უცოდველად ღამესა ჟამსა შინა, დ̃ განმარინე ყოვლისა ბოროტისაგან. ა მ ი ნ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, მომეც მე მადლი კეთილად დავედრებისა სულისა ჩემისა შენდამი ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, დ̃ მამაო იოსებ, თქვენ გავედრებ სულსა, დ̃ გულსა ჩემსა.

იესოვ, მარიამ, დ̃ მამაო იოსებ, შემეწიენით მე ჟამსა უკანასკნელი მომაკვდაობისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, დ̃ მამაო იოსებ, თქვენი ჩემთან აწმყოდ ყოფნის ჟამსა, ეღირსოს განსვლა მშჳდობით სულსა ჩემსა.

განდობის დამზადებისათჳს.

წაიკითხე ზემორედ ამ საქრისტიანოს ფურც 22-24 რომელიც არის სწავლა-ზედ თუ როგორ უნდა დაემზადოს კაცი აღსარების სათქმელად და როგორც იქ განსწავლის, შენც იმ ნაირად დაემზადე აღსარებისათჳს.

## ლოცვა ჩხრევის უწინ სათქმელი.

მომივლინე უფალო მადლი და ნათელი შენი, რომლითაცა ჳცნა, ჳნანო, და მოჳძულო ყოველნი ცოდვანი ჩემნი და ვაღჳარო იგინი გარკვეჳთ ჩემს მოძღვართან, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ა მ ი ნ.

ქალწულო მარიამ, გევედრები მომიშოვნე მე ღვთისაგან მადლი ჭეშმარიტი სინანულისა, პირობის დადებისა, და კეთილი აღსარების თქმისა, პატიჳსათჳს მწუხარებათა მათ, რომელნიც მიიღე შენ ჟამსა ვნებათა იესოსი ძისა შენისა. ა მ ი ნ.

აქ ჰქმენ ჩხრევა, მოიგონე ყოვლადშე-ნი ნაქმნარნი ცოდვები გარდაათვალიერე ღვთის ბრძანებანი და იმათი განმარტე-ბანი იხილე დიდ საქრისტიანოში ფურცე-ლი 45. წმიდა ეკლესიის ბრძანებანი და შენი მდგომარეობის თანამდებობანი თუ რა და რა ცოდვა გიქმნია იმათ წინამღ-დეგად, და როდისაც ამ ჩხრევას გაათავებ, მაშინ ჰქმენ ჭეშმარიტი სინანული ყო-ველს შენს ცოდვებზედ, მოიძულე ისინი, მიეც მტკიცე პირობაცა ღმერთსა იმიერით არღარაოდეს შეცოდებისა, და ჰსთქვ მო-ნანული გულითა შემდეგი ლოცვები.

ლოცვანი სინანულისანი აღსარების უწინ სათქმელნი.

ღმერთო განუზომელი სახიერებისაო, აჰა ფერხთა თანა შენთა დავრდომილი, ვჰგიებ მე; თუმცა მართლიად გამცემელი და განმეორებით შემაწყენელი შენი, არა-მედ მდაბალი გულითა ვთხოულობ აწ შე-ნგან მოტევებასა, და გევედრები რათა არა განმაძიო მე პირისა შენისაგან, რომელი

არა შეურაცხ-ჰყოფ გულსა დამდაბლებუ-
ლსა, სული შემუსვრილი, გული შემუს-
ვრილი, და დამდაბლებული ღმერთმან არა
შეურაცხ-ჰყოს, ფსალ. ნ. გმადლობ უ-
ფალო ჩემო, რომ დღემდე სულგრძე-
ლობით მომითმინე, არ მომკალ ცოდ-
ვაში, და არ მიმავლინე ჯოჯოხეთად, ჳ-
თარცა ღირს ვყავ მე მისი, რომლისათჳს
ჳმედოვნებ რომ აწცა ნაყოფისათჳს იე-
სოსი ქრისტესი ძისა შენისა, მომიტევებ
მე დღეს ამა აღსარებითა ყოველთა ცო-
დვათა ჩემთა, რომლებითა რადგან მომი-
გია ჯოჯოხეთი, და დამიკარგავს სასუფე-
ველი, ამა მიზეზისათჳს ვსწუხვარ და ვნა-
ნობ მათ ზედა. მაგრამ არა ეგოდნად მო-
გებისათჳს ჯოჯოხეთისა, რაოდნათაც
ვსწუხვარ მე უმეტესად მისთჳს რამეთუ
ცოდვებითა მით შემიწყენიხარ შენ ყოვ-
ლად სრული კეთილი ეგე, მიყვარხარ შენ
ჵი დაუსრულებელო სახიერებაო, და რა-
დგან მიყვარხარ, ამისთჳს ვნანულობ ყო-
ჳლითა გულითა ჩემითა, ყოველთა ცოდ-
ვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათითა შემი-

წყენიხარ შენ, შემიქცევა ზურგი შენთჳ-
სა, შეურაცხმიყოფია მადლი ⁊ მეგობრო-
ბა შენი, ⁊ ერთი სიტყჳთ ნებიერად დამი-
კარგავხარ მე შენ. ვაჲ მე, ვაჲ მე, ⁊ ნამე-
ტნავად ვაჲ მე. მომიტევე უფალო სიყვა-
რულისათჳს იესო ქრისტესი ყოველნი
ცოდვანი ჩემნი, რომელთა ზედა ვნანუ-
ლობ ჭეშმარიტებით, ⁊ რომელთაცა ჳ-
ძულებ, ვზიზღობ, ⁊ შეურაცხ-ვჰყოფ
ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბო-
როტისაგან. ბოლოს ვნანულობ მე არა
მარტო მომაკვდინებელთა ცოდვათა ჩე-
მთა ზედა, არამედ შესანდობელთა ცოდ-
ვათა ჩემთა ზედაცა; რადგან იგინიცა არი-
ან შემაწყენელნი შენნი, ⁊ ვსდებ მტკიცე
პირობას ამიერით არღარ შეცოდებისასა
მადლითა შენითა. ჰე უფალო, რადგან
ამიერით სიკვდილი უფრო მნებავს ჳრე-
მცდა კვალად შეცოდება შენი. ა მ ი ნ.
ღმერთო ჩემო, რადგან ხარ იძე 16. ფ.

აქ მიახლოვდი აღსარების საიდუმლო-
სა თქმით· ვაღჯარებ წინაშე ღვთი-

სა ყოვლის-მპყრობელისა, და შენს წინაშე მამაო, რამეთუ ფრიად მიცოდებია ფიქრითა, სიტყჳთა, და საქმითა: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე.

ლოცვა ზიარების შემდგომ სათქმელი.

საყვარელო ჩემო იესო, რაოდნად თანამდები ვარ მე შენი? რამეთუ ჳთარცა გსასოებ ნაყოფისათჳს დაუფასებელი სისხლისა შენისა მომეტევნენ მე დღეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი; გწირავ დიდს მადლობასა ამაზედ, და ჳმედოვნებ მოჳდე ერთ დღეს ცათა შინა, და ვაქო მარადის გამოუთქმელი მოწყალებანი შენნი. ღმერთო ჩემო თუმც მართლიად დღედმდე ბი მრავალ გზის დაგკარგე მე შენ ცოდჳთა მაგრამ ამიერით არღარ მნებავს დაკარგვა შენი: ამისთჳს ამ დღიდგანვე მნებავს ჭეშმარიტებით გამოცვლა სიცოცხლისა ჩემისა, შენ ღირსად გეკუთვნის მრთლივად სიყვარული ჩემი, და მეც მნებავს ამიერითგან ყოვლითურთ შეყვარება შენი, და არ მნებავს ხილვა თჳსა ჩემისა განყრილად შენგან ოდესმე, ამისგამო ჳთარცა წელა-

ნაც შემოგპირდი, ახლაც იმავე ნაირად ხელმეორ გპირდები მასვე, რომ ამიერით უნდა ჳრჩიო მე უმეტესად სიკვდილი ჳ-რემცლა შეწყენა შენი. ამასთანვე გპირდები ცოდჳს მიზეზთაგანაც განშორებასა, ჲ ხმარებასა (ამა ჲ იმა) საშუალობათა რათა არლარ ჩავარდე მე ცოდვაში. მაგრამ იესო ჩემო, რომელი ჰსცნობ უძლურებასა ჩემსა, მომანიჭე მე მადლი კეთილად დაცჳსა პირობათა ამათ ჩემთა ჳდრე სიკვდილადმდე, ჲ მოლტოლჳსაცა შენდამი ყამსა განსაცდელისა ჩემისასა წმიდაო მარიამ რომელი ხარ დედა უცოდველობასშიდ გამძლეობისა, შემეწიე მე, შენზედ დამიცჳს ყოველი სასოება ჩემი.

წმიდა ზიარების მიღებისათჳს.

წაიკითხე ზემორედ სწავლა წმიდა ზიარებასა ზედა ფურცელი 24.

ლოცვანი წმიდა ზიარების მიღების უწინ სათქმელნი.

მრწამს უფალო ჩემო იესოვ, რომ აწმყოდ იპოები შენ ამ წმიდა ზიარების სა-

იდუმლოსა შინა, იმედი მაქვს რომ მომმადლებ მე მოტევებასა ცოდვათა ჩემთასა, ჩემი სულის ცხონებისათჳს ყოველთა საჭირო მადლთა, და საუკუნო ცხოვრებასა. მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, უფროს თაჳსა და ცხოვრებისა ჩემისაგან, რამეთუ ხარ შენ განუზომელი კეთილი ყოვლად სრული, და ყოველი კეთილი. ამის გამო ვსწუხვარ რომ გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა არ შემიყვარებიხარ, არამედ შემიწყენიხარ შენ ფრიად. მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი უფროს ყოვლისა ბოროტისაგან, და ვნანულობ მათ ზედა შეწყენისა შენისათჳს, მნებავს ამიერით სამსახური შენი, ბრძანებათა შენთა დაცვა, შეყვარება შენი უკუნისამდე, და უმეტეს დაკარგვა ყოვლისა რაჲმისა და ყოველი ზიანი, ჳრემც კვალად შეწყენა შენი მადლითა შენითა, განატრობ უფალო და ფრიად მსურის მოსვლა შენი გულსა შინა ჩემსა, მოვედ ჵ ცხოვრებაო ჩემო, განსწმიდე სული ჩემი მომეც წმიდა გამძლეობა, ნუ მიმიშვებ

მე, ოდესმე განყრად შენგან ცოდჳთა, დ̃ ჟამსა სიკვდილისა ჩემისაცა [illegible]ს მყავ რათა სიწმიდით დაგავედრო შენ სული ჩემი მეოხებითა წმიდისა ღვთის მშობლისა, დ̃ ყოველთა წმიდათა შენთა . ა მ ი ნ.

აჰა უფალო მოვედივარ შენთან სიმდაბლით ჳთარცა სნეული, ზეციერს მკურნალთან, განსაკურნებლად სულისა ჩემისა დ̃ ჳთარცა გლახაკი უფალთან ცისა დ̃ ქვეყნისა განსამდიდრებლად სულისა ჩემისა. მოვედივარ ერთ კერძოდ მონანული, დამდაბლებული დ̃ შერცხვენილი ცოდვათა გამო ჩემთა, დ̃ მეორე კერძოდ სავსე სასოებითა განუზომელი მოწყალებისა მიმართ შენისა. ჵი ღმერთო სიყვარულისაო, აჰა ფერხთათანა შენთა ვჰგიებ მე უფროს ყოვლისა უდიდესად სნეული დ̃ გლახაკი, დ̃ გევედრები რათა შემაერთო მე შენთან, რომლითაცა შეჰქმნა გამოჩენილი მდიდარი, დ̃ წარჩინებული პირი წინაშე თვალთა შენთა. ჰყავ უფალო სასწაული ესე შესაბამი ყოვლის მპყრობელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, და სიყვარულისა შენისა. შენცა ჵი დედაო ჩემო მარიამ, მომეც მე აწ ძე შენი გლახაკსა ამას, რომელი ჯაზრით ხელთა შენთაგან მიღებისა მისისა, ვნატრობ მისსა მიღებასა, და არქჳ მას ჳთარმედ მე შენი მონა ვარ, რათა იმანაც უფრო დიდითა სიყვარულითა შემიტკბოს მე გულსა თჳსსა, მოვა რა იგი აწ დღეს ჩემთანა, ამინ.

## წმიდა ზიარების მიღების შემდგომ სათქმელნი.

განუზომელს მადლობას გწირავ სახიერო უფალო, ჩემო იესოვ, დიდისა წყალობისა ამისათჳს, რომელ მე უღირსი ესე ღირს მყავ მიღებად ყოვლადწმიდა ჴორცისა და დაუფასებელი სისხლისა შენისა, და თჳთ ღმერთი ეგე მოხვედ დამკჳდრებად სულსა შინა ჩემსა. გულითხეულ არს მობრძანება შენი უფალო, სიმდაბლით თაყვანის-გცემ, და დიდის წადილითა გულისა ჩემისათა მოგემთხვევჳ, და მოგესურჳლები შენ ცხოვრებაო ჩემო,

ამიერით აღარ მნებავს განშორებასა შენ-
გან, არამედ მარადის ცხოვრება და სიკ-
ვდილი შენთან ერთად საუნჯეო ჩემო,
გწირავ შენ სულსა კორცსა ყოველსა
ზრახვასა, ნატვრასა, სიტყვასა, საქმესა,
და მრთელს ცხოვრებასა ჩემსა, და მნება-
ვს ხმარება, წარგება, და ქმნა ყოვლისა
ამის ყოვლითურთ შესაყვარებლად, საა-
მებლად, და სადიდებლად შენი, რადგან
სხვა არა რაჲსა ვნატრობ გარნა მას, რა-
თა ამიერით შეგიყვარო, და გასიამოვნო
შენ მარადის. ამისთჳს გევედრები უფა-
ლო, შემკარ და დამაკავშირე მე სიყვარუ-
ლითა შენითა ეგრედ მტკიცედ, ჳდრედა
არაოდეს შემეძლოს მე განყრა შენგან,
შესცვალე გული ჩემი და ჰყავ ესე ყოვლა-
დვე თანახმა ნებისა თანა შენისა. მომა-
ნიჭე მე წმიდა ნათელი, შიში, და სიყვა-
რული შენი, და მადლი ნებიერი სიგლახა-
კისა, უბიწოებისა, მორჩილობისა, სიმ-
დაბლისა! სიმშჳდისა, მოთმინებისა, და
ყოველთა ღვაწლთა, რათა ყოველნი დღე-
ნი ცხოვრებისა ჩემისანი, უცოდვოდ და

კეთილად გავატარო, და ბოლოს მეღირსოს მე წმიდა სიკვდილი, რათა რომ ამიებით გასიამოვნო შენ გამოუთქმელო კეთილო, და ვაცხონო სული ჩემი, ამისთჳს ვთხოულობ შენგან ამ წყალობათა სასოებით ღირსებისა შენისათჳს, და საუკუნო მამისა შენისაგანცა სახელითა შენითა, და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, და ყოველთა წმიდათა. ესრეთვე გევედრები უფალო, მოანიჭე სოფელსა მშჳდობა, ეკკლესიასა შენსა ერთობა, მართალთა სიმტკიცე, ცოდჳლთა მოქცევა, კეთილის მყოფელთა ჩემთა, და იმათ რომელთათჳსაც თანამდებ ვარ მე ლოცვად, ყოველი სულიერი და ჟამიერი კეთილი, ყოველთა ცოცხალთა უხჳ მოწყალება შენი, და შენს მადლში მიცვალებულთა საუკუნო განსვენება, ა მ ი ნ.

შემდგომ წმიდა ზიარების მიღებისა ჯვარცმის წინ სათქმელი სრული შენდობისათჳს ლოცვა.

ყოვლად კეთილო და ყოვლად საყვარე-

ლო ჩემო იესო, აჰა დავრდომილთა წი-ნაშე უწმიდესისა აწმყობისა შენისა, გუ-ვედრები შენ ფრიად აღტყინებული და მხურვალე გულითა, რათა აღბეჭდო ჩე-მს გულში გრძნობანი სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა და წუხჳლისა ცოდვათა ჩემთა ზედა, და მტ-კიცე პირობის დადებისა ამიერითგან არღარ შეწყენისათჳს შენი; და ამასთანვე სრული სიყვარულითა და ფრიადი გულ მომწვაობითა წარმოჳდგენ და განჳზრა-ხავ მე წმიდათა ხუთთა დაკოდილებათა შენთა, დაწყებით ეგრედ ჳთარცა ამბობს შენზედ, ჩ̃ი ღმერთო ჩემო, წმიდა წი-ნასწარ-მეტყველი დავით: « განხურიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. და აღრა-ცხეს ყოველი ძვალები ჩემი » (ფსალმ. კა. 16.)

ჰსთქუ ერთი მამაო ჩვენო, ერთი გიხა-როდენი, და ერთი დიდება მამასა საჭი-როებათათჳს წმიდისა ეკკლესიისა, და მო-სავებლად სრული შენდობისა.

სულო ქრისტესო იბიე ფურც 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავალობასა შინა დღისა სათქმელნი ლოცვანი და უფროსი ერთი შუადღის დროსა.

ყოვლად წმიდა სამებაო, მამაო, ძეო, და სულო წმიდაო, იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, ყოველნო ანგელოზნო, და წმიდანო სასუფეველისანო, მოგჳმოვნეთ ღვთისაგან ეს შემდეგნი მადლნი, რომელთაც ვთხოულობთ მისგან დაუფასებელი სისხლისათჳს იესო ქრისტესი.

ა. რათა მარადის ვასრულებდეთ ნებასა ღვთისასა.

ბ. რათა ვჰგიებდეთ მარადის განუყრელად ღვთისაგან.

გ. რათა შეჳყუვაროთ ღმერთი ყოვლითა გულითა. დ. რათა ყოველს საქმესა ჩვენსა ვჰყოფდეთ სადიდებლად ღვთისა. ე. რათა მარადის ვეცადოთ წმინდად გახდენისათჳს ჩვენი თავჳსა მხოლოდ სადიდებლად ღვთისა.

ვ. რათა ჳცნათ კარგად არა რაჲობა ჩვენი თავჳსა. ზ. რათა ვსცნათ მარადის ნება ღვთისა და აღვასრულოთ იგი

გულს მოდგინებითა.

იყავნ ყოველსა შინა ქებულ და დიდებულ ამიერითგან ჳდრე უკუნისამდე უმწვერვალესი, სამართლიერი, და სახიერი ნება ღვთისა. ასი დღის შენდობა.

იყავნ დიდებულ და ქებულ ყოველსა წამსა ღვთიური საიდუმლო ყოვლად წმიდა ზიარებისა. ასი დღის შენდობა.

მაცხოვარო ჩემო იესოვ, შენ შემოგწირამ სულსა, ხორცსა, და გულსა ჩემსა.

ტკბილო გულო იესოსო, მომეც მადლი შენი შეყვარებისა მარადის და ფრიად.

კურთხეულ იყავნ სახელი იესოსი, ამიერიდგან ჳდრე უკუნისამდე.

იყავნ კურთხეულ წმიდა და უმანკო ჩასახება ყოვლად ნეტარელისა ქალწული მარიამისა.

(ასი დღის შენდობა.)

კურთხეულ იყავნ სახელი მარიამისა დედისა ღვთისა.

ყოვლად წმიდაო გულო მარიამისაო, მოიღე კურთხევა შენი სულსა ჩემსა ზე-

და.

შენ შემოგწირავ გულსა ჩემსა მარიამ, დედაო სიყვარულისაო!

დედაო ღვთისაო, ნუ დამიჳწყებ მე ნურაოდეს!

ჵი მარიამ მიმეოხე რათა არა აიღოს ხელი თჳსი ჩემგან იესომ დ̃ არა განმაგდოს მე პირისა თჳსისაგან.

ჵი მარიამ შემეწიე სიყვარულისათვის იესოსი, რათა მარადის მიყვარდეს მე იგი·

გიხაროდენ ძელო ცხოვრებისაო, ფვარო სარწმუნოებისაო, საჭურველო უძლეველო, მახჳლო ორ პირო აღლესილო წინააღმდეგად მტერთა ჩემთა, ეტლო სამეუფეო, რომელსა ზედა ჰჯდა მჴსნელი სოფლისა, დიდებაო წმინდანთაო, ცხოვრებაო მორწმუნეთაო, ჵი საუფლო ჯვარო მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესაო, მეოხ მეყავ მე ცოდვილსა დ̃ ულირსსა მონასა ამას შენსა, ა მ ი ნ.

შენდობა შვიდი წლისა.

უფალო ჩემო, მიიღე და მიითვალე ყოვ-
ელი თაჳს უფლება, მეხსიერება, გულის-
ხმიერება, და მრთლიად ნება ჩემი. რაჲც
მაქვს და რაჲც მომეძევა მე, ყოველნი შენ
მოგიცია ჩემთჳსა; ამისთჳს შენვე შემო-
გწირავ მას, ყოველთა, რომელნი შენნივე
არიან. განაგე, უფალო, იგინი ყოვლი-
თურთ ნებისა ებრ შენისა, ოღონდა კი
მომეც მე სიყუარული და მადლი შენი, რა-
დგან მხოლოდ ამათით გავხდები მე ნა-
მდჳლად მდიდარი და ბედნიერი.

ვსთხოვთ უმორჩილესად ყოველთა პა-
ტივცემულთა ბარონებთა, და ღვთის მოყ-
ვარე მასწავლებელთა (ოსტატთა) საეკ-
ლესიო სკოლებისათა რათა საქრისტია-
ნო მოძღვრების სწავლასთან ერთად
თავ თავიანთ დროზედ ასწავლიონ ხო-
ლმე ყოველნი ზემოდ მოყვანილნი მო-
კლე ლოცვანიცა თავიანთ შაგირდებსა,
რათა ყრმობიდგანვე აღიზარდნონ იგი-
ნი ღვთის შიშსა და სიყვარულსა
შინა და ღვთის მადლით გამოხდნენ შემდ-
გომში საქებურნი და სასარგებლო პირნი
თავიანთი ოჯახობისა საზოგადოებისა,
მამულისა და მადიდებელნი ღვთი-
სანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა